

თიბისი ბანკმა სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის სერტიფიკატი მიიღო

პრესრელიზი

თბილისი, 20 მაისი, 2009წ.

დღიხე ბანკმა (Deutsche Bank) თიბისი ბანკი, სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით, საუკეთესო ბანკად დაასახელა და „2008 USD STP Excellence Award“ სერტიფიკატი გადასცა.

ხარისხის სერტიფიკატის მინიჭება ხდება წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს, როგორც სავალუტო დავალებების ეფექტურ განხორციელებას, ასევე შესრულებული გადარიცხვების რაოდენობას.

2008 წლის მონაცემების შეფასების მიხედვით, თიბისი ბანკს ხარისხის უმაღლესი ინდექსი - 99.94% მიენიჭა.

უკვე მესამე წელია თიბისი ბანკი ჯილდოვდება სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის სერტიფიკატით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ ხნის განმავლობაში, ბანკი სტაბილურად ინარჩუნებს მომსახურების მაღალ დონეს.

STP (Streight Through Payments) წარმოადგენს სავალუტო დავალებას, რომელიც ჩამოყალიბებულია სვიფტის მოთხოვნების შესაბამისად და სრულდება ავტომატურად, კორესპონდენტი ბანკის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

დღიხე ბანკი, რომელიც ასრულებს კორესპონდენტი ბანკის ფუნქციას, ახდენს თიბისი ბანკის საგადასახადო დავალებების კლირინგს.

თიბისი ბანკისთვის მინიჭებული ხარისხის უმაღლესი ჯილდო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნებს და მომავალშიც განაპირობებს ორ ბანკს შორის წარმატებულ ურთიერთთანამშრომლობას.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.